



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000093940132719

№ 34-ი

20 / ივნისი / 2019 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ. ფონაში მდებარე, 49298 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საძოვარი, ს/კ 54.11.52.009), სოფ.ფონის მოსახლეობისათვის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ათი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 240(ორას ორმოცი) ლარი.

მუხლი 2

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ. ჭიაურში მდებარე, 64335 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საძოვარი, ს/კ 54.06.58.002), სოფ.ჭიაურის მოსახლეობისათვის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ათი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე. წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 310 (სამას ათი) ლარი.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად



კარლო ჯამბურია